ოქმი:**ო03. 3726069001**

თარიღი:**10/03/2026**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2026 წელი, 9 მარტი

ქ.ოზურგეთი

12:00-12:30 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გ. მდინარაძე, დ. ასათიანი, ნ. გოლიაძე, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, თ. ქინქლაძე, ე. წუწუნავა, ქ.ხომერიკი, გ.გაბისიანი, დ.თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წელს განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის მოსმენის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობის სახით მისაღებად წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: დავით გორდელაძე

2 ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის, შეფასების და ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

ტანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გაცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, განაცხადა, რომ იგი წარმოდგენილია არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე მოსმენისა და შეფასების მიზნით. ვრცლად ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო და უპასუხა დასმულ შეკითხვებს თანამომხსენებელმა დ.. გორდელაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის მოსმენა და შეფასება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მნიშვნელოვანი ფუნქციაა, განაცხადა, რომ ანგარიში მომზადებულია კანონმდებლობის სრულად დაცვით, წარმოდგენილია განყოფილებების მიერ 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესაბამისად და იგი შესაძლებელია შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხლვის,შსეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით. კომისიის წევრებს ანგარიშზე ვრცლად ესაუბრა თანამომხსენებელი გ. ჩაგანავა და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი